

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადება

გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

ლოტის №	რეგიონი	სატყეო უბანი	ყოფილი სატყეო	კვარტლები	მოვლიანი ფართობი (ჰა.)	მ.შ ტყით დაფარული ფართობი (ჰა.)	ჯიში	ყოველწლიურად ასათვისებელი პროგნოზული ლიკვიდური მერქანი (მ3)			საწყისი ფასი (ლარი)	ბე (ლარი)	ბიჯი (ლარი)
								სულ	მასალა	შეშა			
1	იმერეთი	ვანი	საირმე-ვანი	49-63	1380	1311	წიწვოვანი	1250	875	375	218 182	43 636	21 818
							წიფელი	650	325	325			
2	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ლენტეხი	ხოფური	27, 28, 35-42, 46	1342	1302	წიწვოვანი	900	585	315	200 000	40 000	20 000
							წიფელი	720	360	360			
							თხმელა	180	72	108			

ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აუქციონის ჩატარების ადგილი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ჭანტურიას ქ.№12. ტელ: 99 11 29; 99 10 33; აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 14 აგვისტოდან 10 სექტემბრის

	ჩათვლით 5 საათამდე. აუქციონი ჩატარდება ა/წ 14 სექტემბერს 12 საათიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენობაში.
ბიჯი შეადგენს საწყისი ფასის 10%-ს	
სალიცენზიო მოსაკრებელი	ლიცენზიის მამიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს თითოეულ ობიექტზე სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს 200 ლარს. სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი: 200122900 , მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222 , სახაზინო კოდი: 300773069
დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს “ზე”-ს გადახდის ქვითარი	„ზე“-ს გადახდის ანგარიში: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900 , მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222 , სახაზინო კოდი: 302005000
ზე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია	ა) განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე (სასურველი ლოტის მითითებით). ბ) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი. გ) ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები. ე) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ვ) „ზე“-ს გადახდის ქვითარი.
თანხის გადახდის პირობები	აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად. მოცემული დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
<p style="text-align: center;">სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები:</p> <p>ა) ტყით სარგებლობის გეგმის დამტკიცებამდე ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსაგან ეტაპობრივად, თითოეული კვარტლის მიხედვით, ჩაიბაროს ტერიტორია მიღება-ჩაბარების აქტით;</p> <p>ბ) განახორციელოს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვა:</p> <p>ბ.ა) დაიცვას ლიცენზიით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია უკანონო ტყით სარგებლობისაგან;</p> <p>ბ.ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღკვეთოს და შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე უნებართვო საქმიანობისა და სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ;</p> <p>ბ.გ) შეიმუშავოს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის მექანიზმები და შესაბამისი ინფორმაცია წარადგინოს საქართველოს</p>	

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა;

გ) ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 12 თვისა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში დასამტკიცებლად წარადგინოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი ტყით სარგებლობის გეგმა, რომელსაც უნდა ერთვოდეს მოკლე ანოტაცია. ტყით სარგებლობის გეგმის დამტკიცებამდე ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ნებადართულია მხოლოდ საქმიანობა ტყის დაცვის მიზნით და არ დაიშვება ლიცენზიატის მიერ ხე-ტყის მოპოვება და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელება;

დ) უზრუნველყოს დამტკიცებული ტყით სარგებლობის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება;

ე) ლიცენზიის ნაწილის გასხვისებისას ლიცენზიის გასასხვისებელი ნაწილით განსაზღვრული ტერიტორია არ უნდა იწვევდეს ტყის მასივის (კორომის) დანაწევრებას და არ უნდა არღვევდეს სატყეო კვარტლების საზღვრებს;

ვ) ლიცენზიის ან ლიცენზიის ნაწილის გასხვისებისას ტყით სარგებლობის ახალი გეგმის (გეგმების) დამტკიცებამდე ლიცენზიის გამსხვისებელმა და ლიცენზიის შემქმნელმა უნდა მოახდინონ შესაბამისი ფართობის გადაბარება მიღება-ჩაბარების აქტით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით. ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის გადაბარებამდე ლიცენზიის გამსხვისებელმა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოს დაცვის ინსპექციას უნდა წარუდგინოს ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ლიცენზიის გამსხვისებელს;

ზ) ლიცენზიის ნაწილის გასხვისების შემთხვევაში ლიცენზიატები წარმოადგენენ ახალ ტყით სარგებლობის გეგმას (გეგმებს). ახალი ტყით სარგებლობის გეგმის (გეგმების) დამტკიცებამდე ლიცენზიით განსაზღვრულ ფართობზე ხე-ტყის დამზადება და სხვა სატყეო-სამეურნეო საქმიანობა არ დაიშვება;

თ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოყოს ტყეკაფები:

თ.ა) მასალები შესათანხმებლად წარადგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სატყეო დეპარტამენტის რეგიონალურ სატყეო სამმართველოში და ჭრები განახორციელოს ტყეკაფის მასალების მასთან შეთანხმებისა და ტყეკაფის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

თ.ბ) ტყეკაფის ათვისების ვადად განისაზღვრება კალენდარული პერიოდი ტყეკაფის ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უმეტეს 2 წელიწადისა;

თ.გ) მომდევნო ტყეკაფების ათვისება დასაშვებია მხოლოდ წინა პერიოდში გამოყოფილი ტყეკაფის ათვისებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ათვისების თაობაზე ინფორმაციის წარდგენის შემდეგ;

ი) უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების განხორციელება;

კ) ტყეში სამუშაოების ჩატარებისას გამოიყენოს ეკოლოგიური თვალსაზრისით მისაღები მანქანა-იარაღები და ტექნოლოგიები;

ლ) უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების დაცვა და შექმნას მისი მდგრადი გამოყენების პირობები:

ლ.ა) დაიცვას ბიომრავალფეროვნება საქმიანობის შედეგად გამოწვეული დაბინძურებისაგან;

ლ.ბ) არ დაუშვას უცხო (ინვაზიური) სახეობებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გავრცელება და/ან გამოყენება ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე საქმიანობის დროს;

ლ.გ) საქმიანობამ არ უნდა გამოიწვიოს ეკოსისტემის ფრაგმენტაცია, ტყეების ბუნებრივი იერსახის ცვლილება, სახეობრივი მრავალფეროვნების გაღარბება;

ლ.დ) არ დაუშვას გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არელების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების გაუარესება;

მ) სამასალე ხე-ტყის პირველადი გადამუშავება (პროცესი, რომლის შედეგადაც მიიღება შემდეგი პროდუქცია: ფიცარი (ჩამოგანული ან ჩამოუგანავი), ძელი, ძელაკი, შპალი, საპარკეტე ფრიზა, დაპობილი სათბობი შეშა, შავად ნაშხადი დეტალი) სრულად განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე;

ნ) უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული იშვიათი, საფრთხის ქვეშ და გადაშენების პირას მყოფი, საქართველოს

„წითელ ნუსხაში“ შეტანილი ენდემური და რელიქტური სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს დაცვის ღონისძიებები;

ო) დაიცვას წყალდაცვითი ზოლის რეჟიმი;

პ) უზრუნველყოს მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვა. მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების მდგრადი მართვისა და დაცვის გზით უნდა შენარჩუნდეს ან გაუმჯობესდეს აღნიშნული ტყეების ძირითადი მახასიათებლები. ლიცენზიატის მიერ უნდა იყოს დოკუმენტირებული, თუ როგორ ხდება მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვის უზრუნველყოფა;

ჟ) განახორციელოს ტყის მოვლის, მავნებელ-დაავადებების და ხანძრებისაგან დაცვისა და ტყის აღდგენის ღონისძიებები, რის უზრუნველსაყოფადაც განახორციელოს მუდმივი მონიტორინგი. მავნებელ-დაავადებათა მასობრივად გავრცელების ან/და ტყის ხანძრის შემთხვევაში ინფორმაცია ოპერატიულად მიაწოდოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს;

რ) მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას ლიცენზიატი ვალდებულია დაასაბუთოს მათი გამოყენების აუცილებლობა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შესათანხმებლად წარადგინოს დასახული ღონისძიებების გეგმა. მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენება უნდა იყოს დასაბუთებული და დოკუმენტირებული;

ს) პესტიციდების ნარჩენები არ შეიძლება განთავსებულ იქნეს სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიაზე;

ტ) ხელი არ შეუშალოს მოსახლეობას (სამასალე და საშეშე მერქნის გარდა), უსასყიდლოდ მოაგროვოს ხილ-კენკროვნები, თხილი, სოკო, სამკურნალო მცენარეები და ტყის სხვა პროდუქტები, გარდა „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობებისა, ასევე ტურისტულ-რეკრეაციული მიზნებისათვის მოსახლეობის ყოფნას ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე და სხვა ტრადიციული ღონისძიებების განხორციელებას;

უ) ისტორიული, რელიგიური და კულტურული ობიექტების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და უზრუნველყოს სატყეო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მათი დაზიანებისაგან დაცვა;

ფ) ხელი არ შეუშალოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებას;

ქ) ხელი არ შეუშალოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების (მაგისტრალური გაზსადენი, მაღალი ძაბვის გადამცემი ანძები და სხვა) განხორციელებასა და ფუნქციონირებას;

ღ) ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე წარმოებულ სატყეო-სამეურნეო საქმიანობაში დასაქმებული პერსონალის არანაკლებ 80%-ს უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი მოსახლეობა (იმ ტერიტორიული ერთეულების _ მუნიციპალიტეტების, რომლებსაც მოიცავს ლიცენზია);

ყ) მომუშავე პერსონალთან (ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან) გააფორმოს შრომითი ან/და მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებები სამუშაოს აღწერილობით, დაქირავებულთა საცხოვრებელი ადგილის მითითებით. შემოწმებისას, მოთხოვნისთანავე წარუდგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია შემმოწმებელს;

შ) ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის ან დადგენილ ვადამდე ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ლიცენზიით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია მიღება-ჩაბარების აქტით უზრუნველ ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურებით.

ჩ) ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსათვის მის მიერ წერილობითი თანხმობის მიცემის შემთხვევაში, ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს ხელი არ შეუშალოს სათბობ შემაზე ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის მიხედვით დაკმაყოფილების მიზნით სპეციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფასა და ამ ტყეკაფებზე ხე-ტყის დამზადება-გაცემაში.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები

გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის მოთხოვნებსა და პირობებს და რომელიც ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

გამარჯვებულის მიერ სააუქციონე მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში მასზე გავრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა